# საქართველო

# ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

## ბრძანება N 43 745

18/07/2018

**სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული/ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ძირითადი აქტივის მქონე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ნებართვის გაცემის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" და „ე.თ" ქვეპუნქტების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 31-ე მუხლის 1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის 1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, აღნიშნული დადგენილების XI თავის თანახმად და სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის დირექტორის 2018 წლის 18 ივლისის განცხადების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და შესაბამისი სანებართვო მოწმობა, სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლაზე, აღნიშნული სკოლის სარგებლობაში არსებული/ბალანსზე რიცხული ამორტიზებული, ექსპლუატაციისათვის გამოუსედაგარი ძირითადი აქტივის მქონე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 32.09.43.013), დემონტაჟის თაობაზე და ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს 6 (ექვსი) თვე.
2. დემონტაჟის სამუშაოების წარმოებული უნდა იქნეს წარმოდგენილი სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის საფუძველზე.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობისთანავე.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

კახაბერ მახათაძე

მუნიციპალიტეტის მერი

KA021760166691718


სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ.5

Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge


N13/36945

29 / ივნისი / 2018 წ.

**სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის**
**სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლას**

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში თქვენს მიერ 28.06.2018წ. NMES 1 18 00822038 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასმული საკითხის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრი არ არის წინააღმდეგი სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N32.09.43.013) განთავსებული, ამორტიზირებული შენობის ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოთ საქართველოს მთავრობის 22.03.2010 წლის N82 და 13.08.2010 წლის N239 დადგენილებების შესაბამისად.

იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის
მომსახურების ცენტრის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

მირანდა კირთაძე